სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

58862966514818

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180854582

რეგისტრაციის თარიღი

18.07.2018 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის თვრამეტ ივლისს, მე, დავით ოყროშიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ბატონმა: **გელა მიქაძემ**, საქართველოს მოქალაქე, დაბ. 31.01.1971წ. პირადი ნომერი: 01030005161, საცხოვრებელი მისამართი: თბილისი ა.ლალიონის შეს. N 5, რომელმაც განაცხადა, რომ მოქმედებს როგორც ა(ა)იპ **„საქართველოს გოლფის ფედერაციის“**, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი, რეგისტრაციის ნომერი 205208318, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი. აბაშიძის ქ., N22 (შემდგომ ტექსტში „მარწმუნებელი“) სახელით, როგორც მარწმუნებლის გამგეობის თავმჯდომარე/პრეზიდენტი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრით და მარწმუნებლის წესდებით, რომელიც 2011 წლის 16 აგვისტოს სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ო. ზოიძის მიერ, რ/რ #110860144 და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში. **გელა მიქაძემ** მარწმუნებლის სახელით მოითხოვა **მინდობილობის** შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ მარწმუნებლის და მისი წარმომადგენლის უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე **მინდობილობის** შემდეგი პროექტი:

მინდობილობა

ორი ათას თვრამეტი წლის **თვრამეტ ივლისს**, **ა(ა)იპ „საქართველოს გოლფის ფედერაციამ“** (შემდგომში - "მარწმუნებელი"), წარმოდგენილმა გამგეობის თავმჯდომარის / პრეზიდენტის **გელა მიქაძის** სახით,

შპს „დმ სტუდია“-ს (ს/ნ 404862038) და/ან **დავით მახარობლიშვილს** (პ/ნ 01008005148), რომლებიც შემდგომში ერთობლივად წოდებულნი არიან, როგორც ,,რწმუნებულები'', ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც ,,რწმუნებული'',

როგორც ერთობლივად ისე თითოეულს ცალ-ცალკე, ერთამანეთისგან დამოუკიდებლად, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს მარწმუნებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მუნიციპალურ ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის რაიონების გამგეობებში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, საარქივო დაწესებულებებსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში და როგორც მარწმუნებლის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მონაწილე მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, მათ შორის იზრუნოს განაშენიანების რეგულირების გეგმის მოსაპოვებლად, არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, განახორციელოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების შეთანხმება/ კორექტირება და მშენებლობის/ რეკონსტრუქციის და ნებისმიერი სხვა ნებართვების მიღება ნებისმიერ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთზე), მათ შორის შეზღუდვის გარეშე მიწის ნაკვეთზე, მდებარე: **ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა #7, ფართით 9440 კვ.მ. ს/კ 01.14.05.008.204**, („უძრავი ქონება“), უშუალოდ ან ნებისმიერი მესამე პირის (შემსრულებლის) მეშვეობით განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული „უძრავი ქონების“ სამშენებლო სამუშაოები, ზედამხედველობა გაუწიოს მას, იზრუნოს „უძრავი ქონების“ ყველა შესაბამისი კომუნიკაციის (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წყალი და სხვა) შესაყვანად, ტექნიკური პირობების მისაღებად, შესაბამისი გაყვანილობის მონტაჟის/დემონტაჟისა

და მრიცხველების დაყენებისათვის, წარმოადგინოს მარწმუნებელი ყველა შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებასთან (მათ შორის ყაზტრანსგაზ-თბილისი, თელასი, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ და ნებისმიერი სხვა), პროექტების, განცხადებების, ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების შეთანხმებისა და ხელმოწერის უფლებით, აგრეთვე მარწმუნებელის სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს „უძრავი ქონების“ საკადასტრო მონაცემების ცვლილება, გაყოფა-გამიჯვნა, დაყოფა/გაერთიანება, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია, დამისამართება, მისამართის ცვლილება, იზრუნოს მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, წარადგინოს განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, სხვა აუცილებელი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი, მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, ბრძანება, ნებართვა, ამონაწერი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, მოახდინოს აუცილებელი მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდა, აგრეთვე შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ამ მინდობილობით გაცემული დავალების შესრულებას.

მინდობილობა ძალაშია **1 (ერთი) წლის** ვადით, თუ მანამდე არ გაუქმდება მარწმუნებლის მიერ.

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: **3 (სამი)**, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით ოყროშიძის სანოტარო არქივში.

დანართები: სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან (ელექტრონული ასლი) მარწმუნებლის შესახებ. მარწმუნებლის მოქმედი წესდება განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრის ვებ-გვერდზე, რეგისტრაციის ნომრით B11119714, ასევე ამონაბეჭდი ინახება ჩემს სანოტარო არქივში და თან ერთვის მინდობილობას ნომრით **N180816369.**

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: 10 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 1,80 ლ. თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე გელა მიქაძეს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. გელა მიქაძემ წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

„მარწმუნებელი“ _____

ნოტარიუსი

ნოტარიუსი დავით ოქროშიძე
საქართველო
GEORGIA
NOTARY DAVID OKROSHIDZE